სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენი № 2 ივნისი, 2016 წ.

აკადემიის მაცნე

ელ-ფოსტა:
acad.as@gaas.dsl.ge
conference.gaas@yahoo.com
ვებ-საიტი:
www.gaas.dsl.ge

თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. №51 ტ. 2-94-13-20

ცვალე ამ ხნია ჰგავდეს დღეკანდელს, თუ კაცს პრომეთესი,
ჩინცვლა დაემიანება თურ სიფიცად ამ მიასხია
ილია ჭავჭავაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოში

გაზეთი "აკადემიის მაცნე", რომელიც გამოდის კვარტალში ერთხელ, სისტემატიურად აშუქებს აკადემიის საქმიანობას, აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილულ ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებს, თანამედროვე საინტერესო მოვლენებსა და მათდამი მიდგომებს, მოწინავე გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს და სხვ. გაზეთში ასევე ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივებს.

ამგვარად გაზეთის ფურცლებზე შუქდება აკადემიის აკადემიური საბჭოს მოკლე ანგარიში ყოველ კვარტალში ჩატარებული საქმიანობის შესახებ. ვფიქრობთ იგი კარგი სარეკლამო – საინფორმაციო საშუალებაა აკადემიის საქმიანობის ობიექტურად შეფასებისათვის.

საქართველოს აგრარიკოს მეცნიერთა მოსაზრებები "საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ამ წერილის დაწერის მოტივი გახლდათ გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის ა.წ. 24 მაისის ნომერში გამოქვეყნებული ბატონი ბიძინა ივანიშვილის განცხადება: "ნაციონალურმა მოძრაობამ ფუნდამენტური დარტყმა მიაყენა მეცნიერებას, ჩვენ კი ვცდილობთ ავაღორძინოთ" - "ბოლო ეტაპზე დამოუკიდებლობის შემდგომ რთულ პირობებში როგორც საქართველო ვითარდებოდა, მეცნიერებამ ყველაზე მეტი დარტყმა განიცადა და ახლა ვცდილობთ, რომ დავიბრუნოთ ტრადიციები, რათა მეცნიერება ავაღორძინოთ", რაც სრული ჭეშმარიტებაა, რამაც ახალი რწმენითა და იმედით აღავსო ქართველი მეცნიერები, მათ შორის აგრარული დარგის.

ამ ფონზე, სრულიად გაუმართლებლად მიგვაჩნია, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის და პირადად მისი ხელმძღვანელის აკად. ივანე კიღურაძის პოზიცია, რომელმაც საკანონმდებლო ინიციატივით, პარლამენტს წარუდგინა და მის მიერ დაქვემდებარებულ კომიტეტს პირველი მოსმენით მიაღებინა საქართველოს კანონის პროექტი "საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, ისე, რომ კომიტეტის არც ერთი წევრი, გარდა თავმჯდომარისა, არ იყო სამეცნიერო დარგის წარმომადგენელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, გვინდა გულისტკივილით გამოვხატოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთლიანი შემადგენლობის ნეგატიური დამოკიდებულება ზემოაღნიშნულ კანონთან და მის განხილვასთან დაკავშირებით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის უკმაყოფილება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ კანონპროექტზე მუშაობის პროცესში კანონის ინიციატორის მიერ მოხდა როგორც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული, ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სხვა სამეცნიერო პროფილის დაწესებულებების სრული იგნორირება, ვინაიდან არათუ შეთანხმდა აღნიშნული კანონპროექტი ამ ორგანიზაციებთან, არამედ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში პროექტის ვარიანტიც (ტექსტი) ფორმალურადაც კი არ გამოუგზავნიათ. არაფერს ვამბობთ მის საყოველთაო განხილვაზე.

მიუხედავად იმისა, რომ მომქმედი კანონმდებლობით აკადემია არის მთავრობის მეცნიერული მრჩეველი აგრარულ საკითხებში და ევალება ამ საკითხებში მისი აქტიური ჩარევა.

ამავე დროს, კანონით აკადემიებს მინიჭე-

ბული აქვთ სრული ავტონომიური უფლებები, კერძოდ: “აკადემიის დანიშნულება და ამოცანები, მისი უფლებები, მართვა, სტრუქტურა და წევრთა შემადგენლობა განისაზღვრება აკადემიის წესდებით, რომელსაც იღებს და ამტკიცებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება” ამ ფონზე სრულიად არამართებულად, ყოველგვარი დასაბუთებისა და მსჯელობის გარეშე 2008 წელს შეტანილი იქნა ცვლილებები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კანონში, რითაც ორივე აკადემიაში გაუქმდა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების არჩევის პრაქტიკა, შედეგად ამისა დღეისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ირიცხება სულ 4 წევრ-კორესპონდენტი, ნაცვლად წინა წლების 25 წევრ-კორესპონდენტისა, რაც წინაპირობაა აკადემიის მილევად რეჟიმში გადაყვანისა, გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კვლავ აღდგეს აკადემიის წევრ-კორესპონდენტების არჩევის პრაქტიკა, მითუმეტეს, რომ ამისათვის აკადემია არავითარ დამატებით საბიუჯეტო სახსრების გამოყოფას არ ითხოვს. რაც შეეხება წევრ-კორესპონდენტების ასაკს, ის არ უნდა აღემატებოდეს 60 წელს, ხოლო რაოდენობა 10-15-ს.

მხარს ვუჭერთ სტიპენდიანტების ინსტიტუტის არსებობას და არა წევრ-კორესპონდენტთა სტიპენდიანტებით ჩანაცვლების იდეას, ამასთანავე, მისაღებია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წინადადება, რათა აკადემიებში შეიქმნას სპეციალური სასტიპენდიო ფონდი, რომლის საქმიანობის წესს განსაზღვრავს აკადემიის დებულება. აუცილებელია აღდგენილი იქნეს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის დაცვის პრაქტიკა, როგორც მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, პროფილის მიხედვით.

არამართებულია აკადემიის პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობების განსაზღვრა ადმინისტრაციულ თანამდებობებად. რადგან საჯარო მოხელის შესახებ მომქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია საჯარო მოხელის ცნება და კატეგორიები, სადაც აკადემიის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობები არ განიხილება როგორც საჯარო მოხელეები. გაუგებარია რით არის გამოწვეული ასეთი “სიახლეების” შეტანა საჯარო მოხელის შესახებ კანონში?

“საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანი: “გამორჩეულად ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერების საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქმიანობაში ჩართვა” მისაღებია და მხარდასაჭერი, თუმცა ზოგიერთი მექანიზმი თხოულობს სრულყოფას. ამასთან ერთად, გაუგებარია ამ მეტად მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტაში როგორი ფუნქციონალური დატვირთვა აკისრია კანონპროექტის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტს: “აკადემიის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ იქნას პირი, რომლის ასაკი აღემატება 70 წელს”, რადგან აქ წყდება ის სულისკვეთება, რომელიც ურთიერთდაკავშირებულ მოთხოვნებს გამოხატავს.

კანონპროექტი ითვალისწინებს აკადემიების პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის ასაკის შეზღუდვას 70 წლამდე. მსოფლიოს სამეცნიერო სივრცეში ასეთი ასაკობრივი ბარიერი არ არსებობს.

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, აკადემიის პრეზიდენტად და ვიცე-პრეზიდენტად არჩევნებში მონაწილეობის მიღება, ჩვენს შემთხვევაში, შეეძლება მხოლოდ მცირე რაოდენობას, კონკრეტულად დღეისათვის აკადემიაში რიცხული აკადემიის 30 ნამდვილ წევრიდან 70 წელზე ნაკლები ასაკისა მხოლოდ 4, რაც სრულიად აბსურდულ სიტუაციას შექმნის, რადგან გამოირიცხება შერჩევის უკვე კარგად აპრობირებული სისტემა. კანონპროექტში მთავარი ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის ასაკზე და არა მათ სამეცნიერო და ორგანიზატორულ უნარზე.

მართებული იქნება აკადემიის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული საკითხები; მათი ასაკობრივი ბარიერი, რაოდენობა, არჩევის წესი და სხვა საკითხები რეგულირდებოდეს აკადემიის წესდებით, რომელსაც დაამტკიცებს საერთო კრება და განხორციელდება აკადემიის სრული ავტონომიური უფლებების დაცვით, როგორც ამას დღეისათვის კანონმდებლობა ითვალისწინებს.

და ბოლოს, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კანონპროექტი მოითხოვს სერიოზულ დახვეწას და ფართო საზოგადოებრივ წრეებში განხილვას, რაც დღევანდელ დემოკრატიულ საზოგადოებისათვის სრულიად აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო.

მსოფლიოში გავრცელებული საქართველოსათვის საშიშ ცხოველთა ინფექციური დაავადებების შესახებ

2016 წლის 27 მაისს აკადემიის აკადემიურმა საბჭომ მოისმინა მოხსენება “მსოფლიოში გავრცელებული საქართველოსათვის საშიშ ცხოველთა ინფექციური დაავადებების შესახებ.” მომხსენებელი აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი.

აღინიშნა, რომ მსოფლიოს რიგ ქვეყნებში (პირველ რიგში საქართველოს მიმდებარე ტერიტორიებზე) არსებული მწვავე ეპიზოოტიური სიტუაციის ფონზე ოფიციალური და კონტრაბანდული ტვირთების (განსაკუთრებით ცხოველური პროდუქტების) გადაზიდვები და ადამიანების ინტენსიური მიმოსვლა მოითხოვს ვეტერინარული ღონისძიებების მაღალ დონეზე შესრულებას. რადგან ცხოველთა დაავადებების გავრცელებით მცირდება ცხოველთა სულადობა, ირღვევა აღწარმოება, კლებულობს პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი. დაავადებათა საწინააღმდეგო შეზღუდვები (მათ შორის კარანტინი) ხელს უშლის ექსპორტს და იმპორტს. ცხოველთა მრავალი გადამდები დაავადება (ინფექციური, პარაზიტული) გარდა იმისა, რომ საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის, მათ კატასტროფამდე მიჰყავთ ეკონომიკა.

აღნიშნული პრობლემების თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ ქვეყანაში ძლიერი ვეტერინარიული სამსახურის არსებობის პირობებში.

დღეს, არასწორად, დარგის სპეციალისტების და მეცნიერების აზრის გაუთვალისწინებლად განხორციელებული „რეფორმების“ შედეგად დასუსტებული (ძირითადად უფლებებჩამორთმეული) სავეტერინარო სამსახური თავის ფუნქციებს სრულად ვერ ასრულებს. შედეგად ქვეყანაში ეპიზოოტიური სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და დაიძაბა. ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანილი იქნა საშიში ინფექციური დაავადებები: ღორის აფრიკული ცხელება (ჭირი); ფრინველის გრიპი; ცხვრის ჩლიქების ანაერობული სიდამპლე; ბოცვრების ვირუსული ჰემორაგიული სეპტიცემია; წიწილების ვირუსული ანემია; ნოდულარული დერმატიტი; წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის (ცხვარი, თხა) ჭირი.

ამას ემატება ძველი პრობლემები: ჯილეხის, ცოფის, ტუბერკულოზის, ბრუცელოზის, თურქულის და სხვათა სახით.

როგორც ცნობილია, მიკროორგანიზმები, რომლებიც იწვევენ ადამიანისა და ცხოველების გადამდებ (ინფექციურ) დაავადებებს, დღეისათვის დაყოფილია ხუთ ძირითად ჯგუფად: ბაქტერიები, ვირუსები, სოკოები, უმარტივესები და პრიონები. ეს უკანასკნელი გასული საუკუნის ბოლოდან გახდა ცნობილი და საყოველთაო პანიკა გამოიწვია მსოფლიოში, რადგან ის წარმოადგენს ადამიანის და ცხოველების უმძიმეს და უკურნებელ სნეულებას, რომელიც სწრაფად ვრცელდება და ძირითადად სიკვდილით მთავრდება.

პრიონები ცხვარსა და თხაში იწვევს დაავადება სკრეპს, მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში – ღრუბლისებურ ენცეფალოპათიას ანუ „ძროხის ცოფს“.

პრიონით გამოწვეული დაავადებების ინკუბაციური პირობები საკმაოდ დიდია, გრძელდება წლობით. აქედან გამომდინარე, მათ შეყოვნებით (მდორედ) მიმდინარე ინფექციებს უწოდებენ.

მედიკები თვლიან, რომ ინფექცია ადამიანზე გადადის დაავადებული ცხოველის ხორცის მიღების შედეგად. გამორიცხული არ არის აგრეთვე ადამიანების დაავადება ცხოველური პროდუქტებიდან დამზადებული სამკურნალო და კოსმეტიკური საშუალებებით.

პრიონებით გამოწვეულმა დაავადებებმა მრავალი ადამიანის და ცხოველის სიცოცხლე შეიწირა და აუწერელი ზარალი მიაყენა მრავალი ქვეყნის მეცხოველეობას (განსაკუთრებით ბრიტანეთს).

აღნიშნული დაავადებები საქართველოში ჯერ არ დაფიქსირებულა, მაგრამ აუცილებელია წინასწარ გავამახვილოთ ყურადღება, რათა ჩვენი ქვეყანა არ გახდეს იმ საშინელი დაავადების მომსწრე, რამაც მთელი მსოფლიო შეაძრწუნა.

ზემოთ აღნიშნულიდან მიგვაჩნია, რომ აუცილებლად უნდა დაწესდეს მკაცრი კონტროლი ხორცისა და ხორცის პროდუქტების იმპორტზე. საქართველოს დღევანდელი ეკონომიკურ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ქართული ბაზარი არ არის დაცული ამ მავნე ინფექციების შემოჭრისაგან, რადგან ხშირად ხორცი და ხორცის პროდუქტები ჩვენს მაღაზიებში და ბაზრებში კონტრაბანდული გზით ხვდება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს არაკეთილსაიმედო ქვეყნებიდან (ინგლისი, საფრანგეთი, შვეიცარია, ირლანდია, რუსეთი, აზიის ქვეყნები და სხვა) შემოტანილი ხორცისა და ხორცის პროდუქტების ნაწარმის ხარისხზე და კეთილსაიმედობაზე, სადაც რეგისტრირებულია ღრუბლისებური ენცეფალოპათია, სკრეპი და პრიონით გამოწვეული სხვა დაავადებები. უნდა ვისწავლოთ ამ დაავადებების დიაგნოსტიკის მეთოდები და სათანადოდ აღვჭურვოთ დიაგნოსტიკური ლაბორატორიები.

ანალოგიური ღონისძიებების გატარებას მოითხოვს დაავადებები, რომლებიც დიდ საშიშროებას წარმოადგენს ქვეყნის მეცხოველეობისათვის. მათ რიცხვს მიეკუთვნება ცხვრის კატარალური ცხელება (ლურჯი ენა – ბლუთანგი) და შმალენბერგის დაავადება.

ცხვრის კატარალური ცხელებით ავადდება შინაური და გარეული მრავალი მცოხნავი ცხოველი, პირველ რიგში: ცხვარი, თხა, ირემი, აფრიკული ანტილოპა და სხვა.

ლურჯი ენა ვირუსული დაავადებაა, ხასიათდება საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ლორწოვანი გარსების ნეკროზით და ჩონჩხის კუნთების დისტროფიით. მაკე ცხოველებში იწვევს აბორტებს ან ბადებს მახინჯ ნაყოფს.

ლურჯი ენა – ბლუთანგი პირველად აღწერილი იქნა ცხვრებში სამხრეთ აფრიკაში 1876 წელს, ხოლო მსხვილფეხა რქოსან ცხოველებში – 1933 წელს. ამჟამად დაავადება რეგისტრირებულია აზიის, აფრიკის, ამერიკის, ავსტრალიის 36 ქვეყანაში. ბოლო დროს დაავადება დაფიქსირდა სამხრეთ აფრიკაში და ისრაელში.

ბუნებრივ პირობებში დაავადების მიმართ ყველაზე მგრძნობიარეა ცხვარი. დაავადება ვლინდება სეზონურობით, თბილ ამინდში. ვირუსის ძირითადი გადამტანებია კოღოები.

ინკუბაციის პერიოდი 7 დღეა. დაავადება

ვლინდება მწვავე და ქვემწვავე ფორმით.

მწვავე ფორმის დროს ტემპერატურა იწევს 42^0C-მდე. პირის ღრუში ჩნდება გამონაყრები, რომელიც გადადის წყლულებში. ენა იღებს მოშავო-მოლურჯო ფერს, ვითარდება სტომატიტი, ფილტვების ანთება და სისხლიანი დიარეა. ცხოველი კვდება 1–6 დღეში.

ქვემწვავე ფორმისთვისაც დამახასიათებელია ცხელება, ხანგრძლივი სისუსტე, კისრის მოღრეცა, კიდურების დაავადება, კოჭლობა, ჩლიქების დაზიანება. დაავადება გრძელდება 15–30 დღე.

ხშირად დაავადებისთვის დამახასიათებელია აბორტი, იბადება არასიცოცხლისუნარიანი თაობა.

გაკვეთისას პირის ღრუს ლორწოვანი გარსები და ენა გადიდებულია, აღენიშნება სისხლდენა, ნეკროზი ტუჩებზე, ღრძილებზე და ენაზე, მრავალრიცხოვანი სისხლჩაქცევები კუნთოვან ქსოვილებში, წვრილ ნაწლავებში, სასუნთქი გზების ლორწოვან გარსებზე, შარდსასქესო ორგანოებზე.

დაავადებაზე დიაგნოზს სვამენ ეპიზოოტოლოგიური მონაცემების, კლინიკური ნიშნების, პათოლოგოანატომიური ცვლილებებისა და ლაბორატორიული გამოკვლევის საფუძველზე.

დაავადების მკურნალობა შემუშავებული არ არის.

პროფილაქტიკის მიზნით ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს პრევენციულ ღონისძიებებს. აუცილებელია იმპორტირებული ცხოველების კარანტინში მოთავსება და ლაბორატორიული გამოკვლევა. ყველაზე ეფექტურია დაავადების გადამტანი მწერების მოსპობა გარემოში.

დაავადების საშიშროების შემთხვევაში ამთვისებელი სულადობა უნდა აიცრას შესაბამისი სეროტიპის საწინააღმდეგო ვაქცინით.

მეორე საშიში დაავადება – შმალენბერგის დაავადება პირველად აღწერილი იქნა გერმანიაში. 2011 წლის აგვისტოში დაავადებას სახელი ეწოდა მისი აღმოჩენის ადგილის (ქალაქი შმალენბერგი) მიხედვით, რომელიც მდებარეობს კუნძულ რეიმსზე. 2012 წლიდან დაავადება რეგისტრირებული იქნა ევროკავშირის სხვა ქვეყნებშიც: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია და ჰოლანდია. დაავადება აღმოჩენილი იქნა რუსეთშიც, სადაც აიკრძალა რქოსანი პირუტყვის, ხორცის, ხორცის პროდუქტების და სპერმის იმპორტი ევროკავშირიდან.

დაავადებით ავადდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვარი და თხა. ადამიანის დაავადების შესახებ ცნობა არ არსებობს, მაგრამ არ გამორიცხავს ადამიანის დაავადების შესაძლებლობას.

თვლიან, რომ დაავადების გავრცელების ორი გზა არსებობს: ჰორიზონტალური – როდესაც ცხოველს უკბენს დაავადების გადამტანი კოღო ან რწყილი და ვერტიკალური – როდესაც დაავადების აღმძვრელი ვირუსი გადაეცემა დედიდან ნაყოფს. დაავადება შეიძლება გადაიტანოს ვეტერინარმა ექიმმაც სისხლის აღების დროს.

ყველა სახის ამთვისებელ ცხოველებში შმალენბერგის დაავადება გამოვლინდება ნაყოფის თანდაყოლილი სიმახინჯეებით, ჰიდროცეფალიით, ტვინში კისტოზური წარმონაქმნებით. ახალშობილებში აღინიშნება სიბრმავე, გულმკერდის ძვლის განუვითარებლობა და პარალიჩი. როგორც წესი, ასეთი შთამომავლობა მალევე იღუპება.

ინკუბაციური პერიოდი 1–4 დღეა. დაავადება ზრდასრულ ცხოველებში ძირითადად მიმდინარეობს: ცხელებით, წველადობის მკვეთრი შემცირებით, ფაღარათით, სისუსტით და ნაკლები რეაგირებით გაღიზიანებაზე. დაავადებაზე დიაგნოზს სვამენ ეპიზოოტოლოგიური მონაცემების, კლინიკური ნიშნების, პათოლოგოანატომიური ცვლილებებისა და ლაბორატორიული გამოკვლევის საფუძველზე. ლაბორატორიული კვლევებიდან ძირითადად იყენებენ სეროლოგიურ მეთოდებს, როგორიცაა: ELISA და ჯაჭვური პოლიმერული რეაქცია – PCR-ი.

დაავადების მკურნალობა შემუშავებული არ არის.

პროფილაქტიკის მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნეს ვაქცინა, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებში ამჟამად გამოცდას გადის. მთავარი აქცენტი გადატანილი უნდა იქნეს გარემოში დაავადების გადამტანი მწერების მოსპობაზე.

საქართველოში ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოჰყავთ დიდი რაოდენობით ჯიშიანი პირუტყვი. იმისათვის, რომ ქვეყანაში არ მოხდეს ვირუსმტარებელი ცხოველები, უნდა გამკაცრდეს კონტროლი საზღვარზე და კარგად იქნეს გაანალიზებული ცხოველის წარმოშობის ადგილის ეპიზოოტიური სიტუაცია.

სპეციალისტების მომზადების მიზნით ინფორმაცია აღნიშნულ და სხვა დაავადებებზე უნდა იყოს დეტალური. ძირითადი აქცენტები გაკეთებული უნდა იქნეს დაავადებათა გამოვლენის მეთოდებზე.

“ადგილწარმოშობის დასახელების მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოების სანედლეულო ბაზის რეგულაციისა და ახალი მიკროზონების აგროკლიმატური საზღვრების დაზუსტების შესახებ.”

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2016 წლის 24 ივნისს მოისმინა **აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილის** მოხსენება.

აღინიშნა, რომ ტერმინის განმარტება – ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით: "ადგილწარმოშობის დასახელების (ა.დ.) ღვინოებია – სპეციფიკურ მიკროზონაში, ადგილებში წარმოებული ყურძნიდან მიღებული უმაღლესი ხარისხის ღვინოები, რომელთაც მიკუთვნებული აქვთ ამ სპეციფიკური ზონის თანამედროვე ან ისტორიულ-გეოგრაფიული სახელი..., რომელთა განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია ამ სპეციფიკური ადგილის, მიკროზონის ბუნებრივი, კლიმატური და ნიადაგური ფაქტორებით, ვაზის ჯიშის მხოლოდ ამ ეკოლოგიურ პირობებში გამომუდავნებული განსაკუთრებული ღირსებებით, რომელიც დამზადებულია ტრადიციული ან სპეციფიკური ტექნოლოგიით და რომელიც აკმაყოფილებს დასახელებული უმაღლესი ხარისხის ღვინისადმი ინსტრუქციით დაწესებულ მოთხოვნებს და რომლის ხარისხი გარანტირებულია ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ პროდუქციის წარმოებაზე განსაკუთრებული კონტროლის განხორციელებით."

საქართველოს კანონმდებლობით წარმოშობის ადგილის მიხედვით დადგენილია ღვინის შემდეგი კატეგორიები: ა) დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო; ბ) ღვინო - დაცული გეოგრაფიული აღნიშვნით. შესაბამისად განსაზღვრულია სპირტიანი სასმელებიც.

მოქმედი ინსტრუქციის მიხედვით სავალდებულოა, რომ გამოყენებული ყურძნის 85% მოწეული იყოს განსაზღვრული გეოგრაფიული ადგილიდან; დასაშვებია 15%-მდე იმ ყურძნის ან ღვინის გამოყენება, რომელიც მოწეულია ან მიღებულია იმავე ზონის ფარგლებში, იგივე ზონისათვის რეკომენდებული ვაზის ჯიშისაგან, დაცული უნდა იქნას გეოგრაფიული ადგილის საზღვრები და რეკომენდებული ვაზის ჯიშები; რეგლამენტირებულია ყურძნის საჰექტარო მოსავლიანობა და ღვინის გამოსავლიანობა ერთი ჰექტარი ვენახიდან; სამომხმარებლო ბაზარზე აკრძალულია დაცული ღვინის რეალიზაცია სამომხმარებლო ტარაში დაფასოების გარეშე და სხვა.

ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების პროექტში კრიტიკას ექვემდებარება მუხლი: - "დაცული ადგილწარმოშობის დასახელების და გეოგრაფიული აღნიშვნის საზღვრებში მოწეული ყურძნის გადამუშავება დასაშვებია ამ დაცული გეოგრაფიული ადგილის გარეთაც, მხოლოდ საქართველოს ფარგლებში, თუ ის არ არის შეზღუდული ინსტრუქციით"..., იგი წინააღმდეგობაშია ამ ნაწილში კანონის ძირითად მოთხოვნებთან, ასუსტებს ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებისადმი კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს: ... მოსალოდნელია საერთოდ დაუკარგოს ინტერესი და აზრი 21-ე საუკუნის ქართულ მეღვინეობას – ამ პრიორიტეტულ მიმართულებას! იგი ექვემდებარება განხილვას!

მხარისა და ადგილის დასახელების ღვინოების წარმოება საქართველოში არახალია, ძველია, ტრადიციულია. კერძოდ, მხარის სახელწოდებით იწარმოება – "კახური" ღვინო, "იმერული" ღვინო, რომლებიც გეოგრაფიულ სახელწოდებასთან ერთად ღვინის დაყენების ტექნოლოგიითაც განსხვავდებიან. კახური ღვინის დაყენებისას ყურძნის ტკბილის დუღილის პროცესში მტევნის მაგარი ნაწილები: ჭაჭა, წიპწა, მთელი მასა მონაწილეობს, იმერულ ღვინოში კი – ტკბილის დუღილის პროცესში ჭაჭის მხოლოდ 4-6% მონაწილეობს. განსხვავებულია ღვინის საგემოვნო - სადეგუსტაციო მაჩვენებლებიც, სტილი.

პერიოდულად ქვეყანაში იცვლებოდა ბოთლური ღვინის გაფორმების სტილი. გასული საუკუნის 50-იან წლებში მოქმედებდა ღვინის გაფორმება-მარკირება ნომერაციით: №1 – წინანდალი, №5 - საფერავი და ა.შ. იგი მალე იქნა უარყოფილი და 60-იან წლებში შემოღებული იქნა ბოთლური ღვინის გაფორმება ყურძნის ჯიშისა და ღვინის წარმოების ადგილის სახელწოდების გამოყენებით: წინანდალი, ნაფარეული, მუკუზანი, სვირი,... წარმატებული იყო აგრეთვე კომბინირებული სახელწოდება – ადგილისა და ჯიშის გამოყენება, მაგ. "მანავის მწვანე"...

აღნიშნულმა მიდგომებმა საერთაშორისო მოწონებაც კი დაიმსახურა, მაგრამ იგი არ იყო საერთაშორისო კანონმდებლობით აღიარებული, რადგან იგი არ ემყარებოდა მეცნიერული კვლევის შედეგებს. იგი მხოლოდ ინსტრუქციებით იმართებოდა. რეგლამენტები მეცნიერულად არ იყო დასაბუთებული, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა საერთაშორისო ბაზარზე ურთიერთობისათვის, აღიარებისათვის.

მოსალოდნელი პრობლემები დროულად იქნა აღქმული საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ. 1987 წლიდან ქვეყანაში პირველად იქნა შემუშავებული სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა – "ვენახი 90", რომელმაც მიზნად დაისახა მაღალხარისხოვანი ღვინოების მომცემი სანედლეულო ბაზის – მიკროზონების ადგილების კომპლექსური გამოკვლევა (მიკროკლიმატი, ნიადაგები, ჯიშური აგროტექნოლოგია...), უნიკალურ მიკროზონებში გადაშენების პირას მისული უნიკალური ვაზის ჯიშების აღდგენა – გავრცელება. პროგრამაში მონაწილეობდნენ ინსტიტუტის წამყვანი სამეცნიერო-დანაყოფები (მევენახეობა აგროტექნიკის, სელექცია-ჯიშთმცოდნეობის, აგროკლიმატოლოგიის, ნიადაგმცოდნეობა-აგროქიმიის, მეღვინეობის, ეკონომიკის, ინფორმატიკის...), პერიფერიებში განლაგებული საცდელი სადგურები. საპილოტე პოლიგონად შერჩეული იქნა აღიარებული, ტრადიციული მიკროზონა "მანავი". ხუთწლიანი მუშაობის შედეგად დაზუსტდა სამუშაო მეთოდიკები, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში პირველად, ახალი საუკუნის დასაწყისში, გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები. იმავე ინსტიტუტის ფარგლებში, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამით დამუშავდა და რეგისტრირებული იქნა 18 დასახელების მიკროზონა და ადგილი. აქედან 14 კახეთის რეგიონში, ქართლში-1, იმერეთში-1, რაჭაში-1 და ლეჩხუმში-1, რაც რა თქმა უნდა,

საკმარისი არ არის და ვერ ასახავს იმ პოტენციალს, რაც ქვეყანას გააჩნია 21-ე საუკუნის ქართული მევენახეობა-მეღვინეობის პრიორიტეტული მიმართულების რეალიზებისათვის. ხაზგასმით იქნა აღნიშნული ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში პროფესორ გიორგი ბერიძეს მხოლოდ კახეთში, აღწერილი აქვს 25 დასახელების მიკროზონა, რომელთა ფაქტიური რაოდენობა გაცილებით მეტია. აუცილებელია გამოკვლევების ჩატარება ახალი მიკროზონების დასადგენად. ამ მიმართულებით აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს "ხაშმის" მიკროზონაში.

ზოგიერთი რეგისტრირებული მიკროზონის გეოგრაფიული საზღვრები მოითხოვს კორექტირებას, დაზუსტებას. კერძოდ ყვარლის რაიონში ერთ-ერთი აღიარებული დასახელების "ქინძმარაულის " მიკროზონაში მოქცეულია თითქმის მთელი ყვარლის ადმინისტრაციული რაიონის ტერიტორია, რაც მიუღებელია. იგი აქვეითებს ამ უნიკალური სახელწოდების ღირსებას, ავტორიტეტს. იგივე შეიძლება ითქვას რაჭაზეც. ცნობილი "ხვანჭკარის" დასახელების ფარგლებში მოქცეულია თითქმის მთელი ამბროლაურის რაიონი, მათ შორის, სრულიად განსხვავებული რელიეფის და მიკროკლიმატის მქონე სოფელი ბუგეული და მისი მიმდებარე ტერიტორიები. შეცდომა იყო კარდანახ-ბაკურციხის განშემოსაზღვრებელი (კახური ქვევრის ღვინისათვის) წარაფების მიკროზონის გაერთიანებაც ახაშენის და მუკუზანის გეოგრაფიულ საზღვრებში. მარეგულირებელმა, მაკონტროლებელმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურება. ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს და გაგრძელდეს ადგილწარმოშობის კონტროლს დაქვემდებარებული ღვინოების სანედლეულო ბაზის გაფართოება. შესაძლებელია ამ კატეგორიის ღვინოებმა დაიკავონ დომინანტური ადგილი (20-30%). უყურადღებოდ არის მიტოვებული შიდა ქართლში: საგურამო-ბიწმენდის, მუხრანი-ქსოვრისის, იმერთში: არგვეთის, ობჩადიგის, გურიაში: ბახვი-ასკანის, ბუკისციხის, სამეგრელოში - სალხინოს, აჭარაში - ქედის, ლეჩხუმში - ზუბი-ოყურეშის, უსახელოურის და სხვა მიკროზონები, სადაც ქართველი მევენახის რუდუნებით არის შენახული ეს ისტორიული ძეგლები, ეროვნული სიმდიდრე. იგი რაციონალურად უნდა იქნას გამოყენებული.

ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების წარმოების გაზრდა 21-ე საუკუნის ქართული მეღვინეობის უპირველესი პრიორიტეტია და აუცილებელია მისი რეალიზება!

მონაწილეობა
GCARD3-ის მესამე საერთაშორისო ფორუმში
(სამხრეთ აფრიკა)

2016 წლის 5-8 აპრილს ქ. იოჰანესბურგში (სამხრეთ აფრიკა) ჩატარდა GCARD3 (აგრარული კვლევის გლობალური ფორუმის) მესამე საერთაშორისო თათბირი. პირველი ორი ჩატარდა ქ. მონპელიეში (საფრანგეთი) და ქ. მონტევიდეოში (ურუგვაი). GCARD3 ჩატარებას წინ უძღოდა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში შესაბამისი ფორუმების ჩატარება, სადაც ძირითადად განიხილებოდა პრიორიტეტული მიმართულებები თითოეული ქვეყნის აგრარულ სექტორში. **ფორუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო „გლობალური ფორუმის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა და CACAARI-ის თავჯდომარემ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ.**

GCARD3 პირველი დღე მიეძღვნა გლობალური ფორუმის პარტნიორთა შეხვედრას, სადაც განიხილებოდა „გლობალური ფორუმის" წესდების საბოლოო ვარიანტი, რომელიც გარკვეული შესწორებებით იქნა მიღებული. შემდეგ დღეს, გახსნის ცერემონიალზე სიტყვით გამოვიდნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, ტყის და მეთევზეობის მინისტრი ბატონი ზოკვანა და „გლობალური ფორუმის" აღმასრულებელი მდივანი დოქტ. მარკ ჰოლდერნესი, რომელმაც ილაპარაკა იმ გზაზე, რაც იქნა განვლილი წინა პერიოდში და განიხილა პერსპექტივები. აქვე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვლევითი ცენტრის პრეზიდენტი და დირექტორი, დოქტ. შადრაკ მოეფული.

GCARD3 ფარგლებში მუშაობა გაგრძელდა ხუთ სექციაში: კვლევა და საბოლოო მიზნები; შედეგების ჩვენება; მეცნიერების მომავალი; მდგრადი აგრობიზნესის განვითარება; სოფლის უკეთესი მომავალი. თითოეულ სექციაში შერჩეული იქნა სპეციალისტები, რომლებიც ხელმძღვანელობას უწევდნენ სექციის მსვლელობას.

თათბირის მეორე დღე, მთლიანად მიეძღვნა სამხრეთ აფრიკის აგრარული კვლევის ცენტრის მუშაობას, რომელიც მდებარეობს ქ. პრეტორიის მახლობლად, სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე. ცენტრის ძირითადი მიმართულებებია: სელექცია, როგორც მცენარეთა, ასევე ცხოველების. (მიღებული აქვთ გვალვაგამძლე სიმინდი, ხორბლის ჯიშები, რომლებიც გამძლეა ჟანგებისადმი. საინტერესოა ,რომ დონორად იყენებენ ქართულ ჯიშ-მახას. ასევე მიღებული აქვთ ატმის, ვაშლის, ქლიავის, ვაზის ახალი ჯიშები).

მნიშვნელოვანი მიმართულებაა მცენარეთა

დაცვა მავნებლებისა და დაავადებისაგან, სადაც უპირატესობას ანიჭებენ ბიოლოგიურ მეთოდს. მნიშვნელოვან კვლევებს აწარმოებენ კლიმატის უარყოფითი გავლენის შესამცირებელ მეთოდებზე; მნიშვნელოვანი სამუშაოები ტარდება ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკაზე და ბრძოლის ღონისძიებებზე; მოსავლის აღების შემდგომ ტექნოლოგიებზე და სხვა. ფორუმის მონაწილეებმა დაათვალიერეს ცენტრის გენბანკი და კარტოფილის ქსოვილის კულტურის შესანახი ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, მათ შორის კრიო შენახვის აპარატურები და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ცენტრში ბიოტექნოლოგიურ კვლევებს და წყლის კონსერვაციის საკითხებს. თათბირის დანარჩენი დღეები მიეძღვნა სექციურ მუშაობას და ბოლოს კვლავ პლენარულ სხდომას, სადაც შეჯამდა ჩატარებული მუშაობის შედეგები.

მომდევნო GCARD4 გაიმართება ორი წლის შემდეგ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 500-მდე სპეციალისტმა - მეცნიერებმა, პრაქტიკოსებმა, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, ფერმერებმა, ქალთა ორგანიზაციებმა. აკად. გ. ალექსიძესთან ერთად საქართველოდან ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდა აგრეთვე მარიამ ჯორჯაძე, ბიოლოგიური ასოციაციის "ელკანა"-ს დირექტორი, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი; მათ დააფიქსირეს თავიანთი გამოსვლები მრგვალი მაგიდის მუშაობის პერიოდში.

აკად. გ. ალექსიძე GCARD3-ის საერთაშორისო თათბირის მონაწილეებთან
(2016 წლის 5-8 აპრილი, ქ. იოჰანესბურგში, სამხრეთ აფრიკა)

მრგვალი მაგიდა ელექტრიფიკაციის ზოგიერთ ასპექტებზე

2016 წლის 14 აპრილს აკადემიაში ჩატარდა მრგვალი მაგიდა, სადაც განიხილეს ელექტრომაგნიტური ველის დადებითი და უარყოფითი მოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.

მრგავლი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გ. ალექსიძემ და აკადემიის წევრებმა, საქართველოს ტექნიკური და აგრარული უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა, საქართველოს ბიზნესის აკადემიის წევრებმა და სხვა მოწვეულმა სტუმრებმა.

ძირითადი მოხსენება გააკეთა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, აკადემიკოსმა არჩილ ვაშაკიძემ.

მოხსენებაში აღინიშნა, რომ ადრე ელექტრომაგნიტური ველის განხილვისას ყურადღება ეთმობოდა მხოლოდ მის ელექტრონულ მდგენელს და უგულებელყოფილი იყო მისი მაგნიტური მდგენელი, რომელიც გაცილებით ძლიერი მოქმედებით გამოირჩევა.

ელექტრომაგნიტური ტალღები წარმატებით გამოიყენება მედიცინაში, თუმცა ხშირ შემთხვევაში ელექტრომაგნიტური ტალღები უფრო უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ვიდრე დადებითად.

აღსანიშნავია, რომ ტექნიკურმა პროგრესმა მოიტანა ის, რომ დღეს ადამიანი ცხოვრობს ელექტრომაგნიტური ტალღების გარემოცვაში, რომე-

ლიც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს მის ჯანმრთელობაზე. ასხივებს საყოფაცხოვრებო ტექნიკა, მაღალი ძაბვის სადენები, ფიჭური ტელეფონების ანძები და ა.შ.

ელექტრომაგნიტური ტალღების გამოსხივება განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ბავშვებზე, რომლებშიც კატასტროფულად იმატა ონკოლოგიურმა დაავადებებმა, ფსიქიკურმა აშლილობებმა, საგანგაშოდ გაიზარდა სხვადასხვა ანომალიების მქონე ახალშობილთა რიცხვი, მკვეთრად დაეცა იმუნიტეტი.

ამერიკელმა და შვედმა მეცნიერებმა ადამიანისთვის დაადგინეს ელექტრომაგნიტური ველის ზღვრული ინტენსივობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 0,2 მკ ტესლას. სამწუხაროდ ზოგიერთი საყოფაცხოვრებო ელექტრომოწყობილობა ათობით და ასობით აჭარბებს ამ რიცხვს.

მოხსენებაში აღინიშნა, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ელექტრომაგნიტური ველების უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე და იზრუნოს მოსახლეობის ინფორმირებაზე, ხოლო ზოგ შემთხვევაში გარკვეული ზომებიც მიიღოს მისი, განსაკუთრებით კი მომავალი თაობის, ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად.

ბოლოს აკადემიკოსმა ე. ვაშაკიძემ აღნიშნა, რომ არსებობს ცოცხალი ორგანიზმები, მაგალითად დროზოფილა, რომლებზეც ელექტრომაგნიტური ველი დადებითად მოქმედებს. მეცნიერები მუშაობენ, რომ ახსნან ამ ორგანიზმზე ელექტრომაგნიტური ველის დადებითი ზემოქმედების მიზეზები და მექანიზმი.

მოხსენებამ მრგვალი მაგიდის მონაწილეებში დიდი ინტერესი გამოიწვია, გაიმართა აზრთა გაზიარება; აღინიშნა, რომ განხილული საკითხი მეტად აქტუალურია, მოითხოვს უფრო მეტ პასუხისმგებლობას და ინფორმირებას ხელისუფლების მხრიდან, რაშიც მეცნიერებმა უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა.

მრგვალი მაგიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში (14.04.2016)

მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში ქ. მარაკეში, მაროკო.

2016 წლის 18-20 აპრილს, ქ. მარაკეშში (მაროკო) ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია რომელიც მიეძღვნა საკვებად გამოსაყენებელი პარკოსანი კულტურების შესწავლას.

კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ მშრალი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ცენტრი და მოროკოს სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის სამინისტრო.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 300-მდე სპეციალისტმა, რომლებიც მუშაობენ აღნიშნულ კულტურებზე. ქართული აგრარული მეცნიერება კონფერენციაზე წარადგინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გ. ალექსიძემ.

კონფერენციის მუშაობის პერიოდში მოხსენებებით გამოვიდნენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები - პროფ. რატან ლაი - აშშ ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; ICARDA-ს გენერალური მდივანი პროფ. მაჰმუდ სოლხი, მაროკოს სოფლის მეურნეობის მინისტრი დოქტ. ნაბელ ჩაოქი, FAO-ს, IFAD-ის,ICRISAT-ის, ICARDA-ს, ამერიკის, კანადის, ახალი ზელანდიის, ინდოეთის, ესპანეთის, ეთიოპიის, საფრანგეთის, მაროკოს, ავსტრალიის და სხვათა წარმომადგენლები.

აკად. გურამ ალექსიძემ კონფერენციაზე წარადგინა პოსტერი, სადაც განხილული იყო საქართველოში არსებული პარკოსანი კულტურების გენეტიკური რესურსები, აგრეთვე ამ კულტურების მავნებელ-დავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები. აკად. გ. ალექსიძეს კონფერენციის პერიოდში ჰქონდა შეხვედრები მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერებთან, ზოგიერთმა მათგანმა სურვილი გამოთქვა მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციაში, რომელიც გაიმართება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 2016 წლის 28-30 სექტემბერს.

კონფერენციის ბოლო დღეს მიღებული იქნა დეკლარაცია, რომელიც ასახავს პარკოსანი კულტურების შესწავლის თანამედროვე მდგომარეობას და მსოფლიოს ქვეყნებში მათი გამოყენების პერსპექტივებს.

აკად. გურამ ალექსიძე საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებთან ერთად (მაროკო).

მრგვალი მაგიდა ვეტერინარიაში

ვეტერინარიის დარგში არსებულ მდგომარეობას და სამომავლო პერსპექტივების განხილვას მიეძღვნა აკადემიაში 2016 წლის 25 აპრილს ჩატარებული მრგვალი მაგიდა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ: აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი, მეცნიერებათა დოქტორები: ლევან მაკარაძე, მაია კერესელიძე, მერაბ ნათიძე, გიული გოგოლი; აკადემიური დოქტორები ცეზარ მატიჩაძე, შადიმან ფოცხვერია, დემნა ხელაია, ჯამბულ წულაია; სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილე მიხეილ სოხაძე.

აღინიშნა, რომ საქართველო იყო და რჩება აგრარულ ქვეყნად, სხვა დარგებთან ერთად ჩვენთან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეცხოველეობის განვითარებას და პირუტყვის ვეტერინარულ მომსახურებას. ვეტერინარია – არის მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობის სფერო, რომელიც მიმართულია: ყველა სახის ცხოველის (მ. შ. ფრინველის, თევზის, ფუტკრის) დაავადებების პროფილაქტიკისა და მათი მკურნალობის, ვეტერინარულ-სანიტარიული თვალსაზრისით სრულფასოვანი და კეთილსაიმედო ცხოველური პროდუქტების წარმოებისა და მოსახლეობის ცხოველისა და ადამიანებისათვის საერთო გადამდები დაავადებებისაგან დასაცავად.

ვეტერინარული საქმის სწორი ორგანიზაცია და ფუნქციის შესრულების ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული სისტემის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, მისი რგოლების რაციონალურად განლაგებაზე, ფუნქციების სწორად განაწილებაზე და იერარქიულ დაქვემდებარებაზე.

დამოუკიდებელ საქართველოში საზოგადოებრივი მეურნეობების მოშლამ, პირუტყვისა და ფრინველის სულადობის ოჯახურ მეურნეობებში კონცენტრაციამ, ასევე ვეტერინარული მომსახურების არასწორად, დარგის სპეციალისტების და მეცნიერების აზრის გაუთვალისწინებლად (სუბიექტური მიდგომებით) განხორციელებული „გარდაქმნების“ შედეგად დასუსტებული (ძირითად უფლებებჩამორთმეული) სავეტერინარო სამსახური თავის ფუნქციებს დღეს სრულად ვერ ასრულებს.

შედეგად ქვეყანაში ეპიზოოტიური სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და დაიძაბა (ქვეყნის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იქნა 6 ახალი ინფექციური დაავადება). ამასთან ახალ და ძველ დაავადებათა საწინააღმდეგო ღონისძიებები (ვაქცინაციები) და შეზღუდვები (კარანტინები) მოითხოვს მზარდ დაფინანსებას და ხელს უშლის ექსპორტს, იმპორტს და სატრანსპორტო გადაზიდვებს. ზრდის ცხოველების და ადამიანების დაავადებების რიცხვს. ვეტერინარიული განათლების არასწორი მართვა კი ქვეყანას ახლო მომავალში სპეციალისტების გარეშე დატოვებს.

საფუძვლიანი განხილვის შედეგად მრგვალმა მაგიდამ წარმოადგინა შემდეგი წინადადებები:

1. შეიქმნას კომპეტენტური კომისია, რომელიც ევროკავშირის ქვეყნების (მსგავსი ტერიტორია, ცხოველთა სულადობა და ა. შ.) მაგალითზე განსაზღვრავს ვეტერინარიის დეპარტამენტის სწორ ორგანიზაციულ სტრუქტურას, მისი რგოლების რაციონალურ განლაგებას და იერარქიულ დაქვემდებარებას.

   ვეტერინარიის სამსახურის, სავეტერინარო განათლებისა და მეცნიერების დონის ამაღლების, აგრეთვე ქვეყნის ტერიტორიის კეთილსაიმედოობის გაზრდის მიზნით ვეტერინარი სპეციალისტების ჩართულობით მომზადდეს და მიღებული იქნას „კანონი ვეტერინარიის შესახებ“.

2. შევიდეს ცვლილებები კანონში განათლების შესახებ, ცხოველთა ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციისა (OIE) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) რეკომენდაციების მიხედვით:

ა) ისევე, როგორც ევროკავშირის უკლებლივ ყველა ქვეყანაში, ვეტერინარია კვლავ გახდეს რეგულირებადი (ე. წ. ლიბერალური) დარგი;

ბ) ვეტერინარი ექიმის მომზადება დაუბრუნდეს 5-წლიან—300-კრედიტიან სწავლებას და მიესადაგოს ევროკავშირის დირექტივებს (2005/36/EC, 2013/55/EU);

გ) დაიწყოს მუშაობა საქართველოს სახელმწიფო ვეტერინარული უნივერსიტეტის და ფაკულტეტის აღდგენის თაობაზე;

დ) გაფართოვდეს გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის მოცულობა, პირველადი წარმოების ობიექტებზე (ფერმებში და გადამამუშავებელ საწარმოებში);

ე) დასაქმებისათვის, სადაც აუცილებელია ვიწრო სპეციალიზაცია, ვეტერინარმა ექიმებმა გაიარონ 3–6–9-თვიანი გადამზადების კურსები (პრაქტიკის მეტი წილით არჩეული მიმართულებით).

3. ყველა დონის უმაღლეს სასწავლებელში სრულად ამოქმედდეს მთავრობის დადგენილება — ვეტერინარი ექიმების მომზადება სახელმწიფო დაფინანსებით.

4. აღდგენილი იქნას ვეტერინარ ექიმთა სერთიფიცირების კანონი.

ა) ვეტერინარმა ექიმებმა ყოველ 5 წელიწადში

ერთხელ გაიარონ მოკლევადიანი კვალიფიკაცის ამაღლების კურსები;

ბ) სერთიფიკატები გასცეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დანიშნულმა სპეციალურმა კომისიამ;

გ) კერძო და საჯარო სექტორში მომუშავე ყველა ვეტერინარისათვის სავალდებულო გახდეს ვეტერინარიის დეპარტამენტში რეგისტრაცია.

5. კოლეჯებში გაფართოვდეს მე-4 დონის ვეტერინარიის მომსახურების სპეციალისტების (ე. წ. ფერშლების) მომზადება).

6. სამეცნიერო ცენტრში, აგრარულ უნივერსიტეტში ან ცალკე ჩამოყალიბდეს სპეციალიზებული ვეტერინარული ლაბორატორიები, სადაც გამოცდილი მეცნიერების ხელმძღვანელობით ჩატარდება ვეტერინარიის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ პროგრამებზე სამეცნიერო კვლევები.

ა) მეტი ყურადღება მიექცეს სხვადასხვა ფონდებში წარსადგენი ვეტერინარული პროექტების (გრანტების) განხილვებს;

ბ) მთავრობის ფინანსური დახმარებით საკანონმდელო ხელშეწყობით ქალაქად და სოფლად წახალისდეს კერძო ვეტერინარული სამსახურები — „არც ერთი სოფელი ვეტერინარული მომსახურების გარეშე“;

გ) ცხოველთა კეთილდღეობის ამაღლების მიზნით, ცხოველთა მეპატრონეებზე გაიცეს გრძლვადიანი და დაბალპროცენტიანი კრედიტები თანამედროვე მეცხოველეობის ფერმების ასაშენებლად და არსებულების რეკონსტრუქციისათვის; დარიგდეს ვაუჩერები ცხოველთა სადგომებში ვეტერინარიულ-სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დასაცავად;

დ) მეცხოველეობის და ვეტერინარიის სპეციალისტებთან ერთად შემუშავდეს ცხოველთა დაზღვევის სისტემა.

7. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნას სამეცნიერო--საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც ფერმერების და მოსახლეობის ვეტერინარიული ცოდნის დონის ამაღლების მიზნით აკადემიის და აგრარული უნივერსიტეტის მეცნიერთა მონაწილეობით დაიწყებს ლექცია-საუბრებისა და კონსულტაციების ციკლს; გამოსცემს ბუკლეტებსა და ბროშურებს, გამოაქვეყნებს სამეცნიერო და საგაზეთო სტატიებს; სისტემატურად ჩაატარებს ტელეშეხვედრებს თბილისში, რეგიონებსა და რაიონებში; გადაიღებს და უჩვენებს სამეცნიერო და პრაქტიკულ ფილმებს.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ქ. ვინიცის (უკრაინა) ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტში

2016 წლის 26-28 აპრილს უკრაინის ქ. ვინიცის ეროვნულმა აგრარულმა აკადემიამ უმასპინძლა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას თემაზე - “მეცხოველეობის პროდუქტების ხარისხის, უვნებლობის, წარმოებისა და გადამუშავების თანამედროვე პრობლემები.”

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას აღნიშნულ აკადემიასთან რამოდენიმე წელია გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი. ხშირია ქართველი და უკრაინელი მეცნიერების ერთობლივი მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში. ამჯერად აღნიშნულ კონფერენციის მუშაობაში უკრაინული მხარის მიწვევით მონაწილეობდა და პლენარულ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ მეცნიერები ბელარუსიიდან, მოლდოვადან, ყაზახეთიდან, ტაჯიკეთიდან, პოლონეთიდან, საქართველოდან, უკრაინის სხვადსხვა აგრარული უნივერსიტეტებიდან, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიდან, ასევე კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ უკრაინის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის წევრები, სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები. სულ მოსმენილი იქნა 82 მოხსენება.

აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე შეხვდა ვინიცის ეროვნული აგრარული აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს გრიგორი კალეტნიკს, უნივერსიტეტის რექტორს ვიქტორ მაზურს, პრორექტორს სამეცნიერო ნაწილში ალექსანდრე იარემჩუკს. შეხვედრაზე განხილული იქნა შემდგომი თანამშრომლობის საკითხები. მიმდინარე წლის 13 მაისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას ესტუმრებიან უკრაინელი კოლეგები ვინიცის ეროვნული აგრარული აკადემიიდან და განხილული იქნება მემორანდუმის ფარგლებში ერთობლივი საქმიანობის შედეგები.

დოქტ. ა. გიორგაძე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე (უკრაინა, ქ. ვინიცა)



მარცხნიდან - კათედრის გამგე პროფ. ვ. კუჩერიავი, ვინიცის ეროვნული აგრარული აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გ. კალეტნიკი, დოქტ. ა. გიორგაძე, უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ვ. მაზური.

მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ

(სსმმ აკადემია - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

2016 წლის 13 მაისს ქ. ბათუმში ხელი მოეწერა მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გურამ ალექსიძემ და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ასოც. პროფესორმა მერაბ ხალვაშმა.

მემორანდუმზე ხელის მოწერას დაესწრენ რექტორის მოადგილე ქალბატონი ნათელა წიკლაშვილი და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრები, სსმმ აკადემიის წევრები აჭარიდან - აკად. გურამ პაპუნიძე და აკად. რეზო ჯაბნიძე, აგრეთვე სტუმრები თბილისიდან -პროფ. თ. კაჭარავა და სხვები, გაზეთ "აჭარის" კორესპონდენტი რევაზ მსხილაძე.

მემორანდუმი ითვალისწინებს ორგანიზაციებს შორის მეცნიერებისა და განათლების სფეროში საერთო ინტერესების გათვალისწინებით ურთიერთკავშირების განვითარებას. მემორანდუმის თანახმად მხარეები განახორციელებენ და უზრუნველყოფენ მეცნიერების და პროფესორ-მასწავლებლთა ურთიერთდახმარებას აგრარული სფეროს აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში, სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებაში, ტრეინინგების და სემინარების ჩატარებას ახალგაზრდა მეცნიერებთან, გამოცდილების გაზიარებას აგრარული მიმართულებების თანამედროვე მეთოდების, სამეცნიერო მიღწევებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების სფეროში, ერთობლივი სამეცნიერო სიმპოზიუმების და კონფერენციების ორგანიზებას და ჩატარებას, მხარეების ერთობლივ მონაწილეობას აგრარული მიმართულების პროექტებსა და პროგრამებში და სხვა.

გამოითქვა სურვილი, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს აკადემიის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში 2016 წლის 28-30 სექტემბერს.

აკად. გურამ ალექსიძის შეხვედრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრებთან.

თანამშრომლობის მემორანდუმზე ხელს აწერენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი პროფ. მერაბ ხალვაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმზე ხელის მოწერის შემდეგ.

ევრაზიის საერთაშორისო სიმპოზიუმი თურქეთის რესპუბლიკაში

2016 წლის 23-27 მაისს ქ. ანტალიაში ჩატარდა ევრაზიის ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი, სადაც მონაწილეობდა 16 ქვეყნის ასამდე მეცნიერი და მკვლევარი. მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, ეთიოპიის და პარაგვაის წარმომადგენლები.

დარბაზში, სადაც 150-მდე მონაწილე შეიკრიბა, სიმპოზიუმის მონაწილეებს მიესალმნენ, თურქეთის პამუკალეს უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ხუსეინ აგჯა, ქ. ანტალიის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი პროფესორი მუსტაფა თურანი, ბელარუსიის აგრარული უნივერსიტეტის პრორექტორი ლევ ზავოდნიკი, ბათუმის სახელმწიფო უნივერისტეტის პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე, აზერბაიჯანის მარდაგიანის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ტოფიკ მამმადოვი, ინდოეთის შივაჯის ბიომრავალფეროვნების უნივერსიტეტის პროფესორი შანდრაკანტ სალუნკჰე, ამერიკის მასაჩუსეტის უნივერსიტეტის დეკანი, პროფესორი ვადე შერბრუკი.

საერთაშორისო სიმპოზიუზე მუშაობა წარიმართა სამ სექციაში, მათ შორის ერთი სუბტროპიკულ მემცენარეობაში - რომლის თავმჯდომარედ არჩეული იყო აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე, თანათავმჯდომარეებად კი ინდოეთის შივაჯის ბიომრავალფეროვნების უნივერსიტეტის პროფესორი შანდრაკანტ სალუნკჰე, ნახჩევანის ბიორესურსების ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ტარიელ ტალიბოვი. სექციაზე მოსმენილი იქნა 35 მოხსენება.

აკადემიკოს რეზო ჯაბნიძის მოხსენებამ: „იაპონიიდან ინტროდუცირებული მანდარინის ადრემწიფებადი ჯიშების ადაპტაციისა და აკლიმატიზაციის თავისებურებანი აჭარაში“, სიმპოზიუმის მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ საუკეთესო მოხსენებისათვის მას, პამუკალეს უნივერსიტეტის რექტორმა გადასცა სერთიფიკატი და ფასიანი საჩუქარი.



სსმმ აკადემიის აკდემიკოსი რეზო ჯაბნიძე

თურქეთის პამუკალეს უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ხუსეინ აგჯა

მრგვალი მაგიდა

2016 წლის 3 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა მრგვალი მაგიდა: "IFOAM-ის ორგანული სტანდარტები, აკადემია დაPGS"

მრგვალი მაგიდა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, აკადემიკოსმა ელგუჯა შაფაქიძემ, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილემ, დოქტორმა ანატოლი გიორგაძემ. აკადემიკოსებმა: ომარ ქეშელაშვილმა, ვაჟა კვალიაშვილმა, გოგოლა მარგველაშვილმა, ნოდარ ჩხარტიშვილმა, ნუგზარ ბაღათურიამ, ჯემალ გუგუშვილმა, აკადემიის წევრ–კორესპონდენტმა თამაზ თურმანიძემ, სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილემ ნოდარ ხატიაშვილმა, ბიორაციონალური კვლევითი ცენტრის დამფუძნებლებმა დირექტორებმა ნიკოლოზ ზაზაშვილმა, ნოდარ მინდიაშვილმა, მიხეილ ჭიჭაყუამ, მეცნიერებათა დოქტორმა თამარ კაჭარავამ.

ძირითადი მომხსენებელი: **თენგიზ ჯალიაშვილი** - ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ბიორაციონალური ტექნოლოგიების სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი. თანამომხსენებლები:: **გურამ გეჯაძე** - სოფლის მეურნეობის ეკონომისტ-ორგანიზატორი, შპს მაკრო-პრიმის დამფუძნებელი, დირექტორი; **ალექსანდრე ნოდია,** ინფორმაციული ტექნოლოგიების მაგისტრი/ექსპერტი ინფორმაციული ტექნოლოგიების საკონსულტაციო კომპანია ინფინიტუსის დამფუძნებელი; IT-ექსპერტი **გიორგი ზაზაშვილი.**

გაიმართა დისკუსია, რომელზეც წამოიჭრა საკითხები: რითაა უკეთესი IFOAM-ის ორგანული სტანდარტები კოდექს ალიმენტარიუსისაზე; რითაა ღირსშესანიშნავი ორგანულ პროდუქტების წარმოება-სერთიფიცირება IFOAM-ის PGS-ით; ვინ და სად უკეთესია დაარსოს IFOAM-ის ორგანული აკადემია; როგორ გამოვიყენოთ 2014 წლის 1 აგვისტოდან ძალაში შესული N198 დადგენილება: "ბიოპროდუქტების შესახებ" ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ფარგლებში ევროპელების მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებად ორგანულ პროდუქტებზე და სხვა.

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ მომზადებული იქნება შესაბამისი წინადადებები მთავრობაში წარსადგენად ბიოორგანული მეურნეობების გასავითარებლად სპეციალური სასწავლო პროგრამების სწავლებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების შემუშავების შესახებ, აგრეთვე შესაძლებელია აკადემიამ იფიქროს ორგანული აკადემიის ხელმძღვანელობაზეც, რომელიც შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ი. წინამძღვრიშვილის აგრარული კოლეჯის ბაზაზე.

მრგვალი მაგიდა "IFOAM-ის ორგანული სტანდარტები, აკადემია და PGS". ძირითადი მომხსენებელი ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი თენგიზ ჯალიაშვილი.

მრგვალი მაგიდა

აგრარული მეცნიერებისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები

2016 წლის 10 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა მრგვალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა აგრარული დარგის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების არსებულ მდგომარეობასა და სამომავლო პერსპექტივებს.

გარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრებისა მრგვალ მაგიდას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები–საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გ. ქვარცხავა, სტუ-ს პროფესორები ი. ყრუაშვილი და გ. გაგოშიძე (ისინი ამავე დროს არიან აკადემიის ეროვნული კოორდინატორები მიმართულებების მიხედვით), დ. გუბელაძე და ზ. ლობჟანიძე, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტიდან ფაკულტეტების დეკანები, პროფესორები ლ. მაკარიძე და ა.ჭკუასელი.

აკადემიიდან ესწრებოდნენ ის აკადემიკოსები, რომლებიც დღეს დაკავებულები არიან პედაგოგიური მოღვაწეობით– აკადემიკოსები გ. მარგველაშვილი, რ. მახარობლიძე, ჯ. კაციტაძე, ა. დიდებულიძე, ნ. ბაღათურია, ო. ქეშელაშვილი, ნ. ჩხარტიშვილი, ჯ. გუგუშვილი, აკადემიური დოქტორი ა. გიორგაძე.

მრგვალი მაგიდა შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის ვიცე–პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ.ჯაფარიძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა მრგვალი მაგიდის თემატიკის დიდ მნიშვნელობას.

აგრარული განათლების დღევანდელი არსებული სიტუაციის შესახებ ისაუბრა აკადემიკოსმა ე. შაფაქიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ დღეისათვის ქვეყანაში ფუნქციონირებს პროფესიული, საზოგადოებრივი და სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით ჩამოყალიბებული კოლეჯები, სულ 71 სასწავლებელი. აღნიშნული დაწესებულებებიდან 40 % აგრარულ განათლებას იძლევა; ამავე დროს ფუნქციონირებს 96 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება– უნივერსიტეტები და ინსტიტუტები. მათ შორის აგრარული მიმართულებით 6 სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერთი კერძო უნივერსიტეტი (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი) და ერთი კერძო ინსტიტუტი (გორის სუხიშვილის სასწავლო ინსტიტუტი). კიდევ 8 კერძო ინსტიტუტში არის აგრარული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამები. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ქვეყანაში არსებული დიდი რაოდენობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა, აგროინჟინერინგის მიმართულებით ოთხი წელია სრული ვაკუუმია, არც ერთი სპეციალისტი არ მომზადებულა. ძალიან მცირეა ამ მიმართულებაში დოქტორანტები და საერთოდ არ არიან მაგისტრები.

არასახარბიელო სურათია პროფესიული მომზადების მიმართულებითაც.

აკადემიაში ჩატარებულ მრგვალ მაგიდაში (2015 წლის 03 ივლისი) მონაწილე რაიონების საინფორმაციო – საკონსულტაციო ცენტრების წარმომადგენლები ერთხმად აღნიშნავენ აგროსაინჟინრო სპეციალისტების ძალზე დაბალ, არაპროფესიულ დონეს და ეს დღეს, როდესაც რეგიონები და რაიონები მომარაგებული არიან მსოფლიოს 13 ქვეყნის ტრაქტორებით და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით.

თემატიკასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს სტუ-ს აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა გ. ქვარცხავამ, პროფესორებმა ი. ყრუაშვილმა, დ. გუბელაძემ, ზ. ლობჟანიძემ და გ. გაგოშიძემ, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტიდან - დეკანებმა ლ. მაკარაძემ და ა. ჭკუასელმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა ჯ. კაციტაძემ, ა. დიდებულიძემ, გ. მარგველაშვილმა, ნ. ჩხარტიშილმა, ნ. ბაღათურიამ დასხვა.

მრგვალ მაგიდაზე გამოითქვა წინადადებები, რომ:

1. მიზანშეწონილია აკადემიამ პერიოდულად განიხილოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამები; შენიშვნები და წინადადებები მიაწოდოს განათლების აკრედიტაციის ცენტრს.

2. ეთხოვოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომ პროფესიული განათლების პროგრამების მონიტორინგში ჩართონ აკადემიის წევრები და აგრარული მიმართულების უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები.

3. მიზანშეწონილია აკადემიის წევრები აქტიურად ჩაერთონ აგრარული მიმართულების სახელმძღვანელოების მომზადებაში, რისთვისაც წლის საუკეთესო ნაშრომების კონკურსში პრიორიტეტი მიენიჭოს ამ ტიპის სახელმძღვანელოებს.

4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგალითის გათვალისწინებით იმ უმაღლესმა სასწავლებლებმა, ვისთანაც აკადემიას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები, საგანმანათლებლო პროგრამების პირველადი ატესტაცია გაიარონ აკადემიაში.

5. მიზანშეწონილია აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომებზე პერიოდულად მოსმენილი იქნეს აკადემიის წევრების საქმიანობა პედაგოგიური მიმართულებით.

6. აღინიშნა, რომ ძირეულ გარდაქმნას ექვემდებარება აგრარული მიმართულებების უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამები აგრონომიულ, აგროსაინჟინრო, ტექნოლოგიურ და სხვა მიმართულებებში.

7. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ბაზაზე შეიქმნას აგრარული მიმართულების განათლებისა და მეცნიერების არსებული მდგომარეობის შემსწავლელი კომისია, რომელიც მოამზადებს ობიექტურ წინადადებებს სამთავრობო ორგანოებში წარსადგენად.

8. მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა უარყოფითი შეფასება მისცეს განათლების სფეროების კლასიფიკატორის პროექტს და თხოვნით მიმართავენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სერიოზულად გაანალიზოს კლასიფიკატორის მიმართ გამოთქმული შენიშვნები.

მრგვალი მაგიდის შეხვედრის ამსახველი ფოტოები

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის იუბილარი

გურამ ტყემალაძე - 75

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს აკადემიკოს გურამ ტყემალაძეს დაბადებიდან 75 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავს.

აკადემიკოს გურამ ტყემალაძეს

ბატონო გურამ,

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად გილოცავთ დაბადებიდან 75 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავს.

ჩვენთვის, ქართველი აგრარიკოს მეცნიერებისათვის კარგადაა ცნობილი თქვენი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ.

თქვენ 1941 წელს 25 აპრილს დაიბადეთ თბილისში, მათემატიკოსების ოჯახში. 1958 წელს თბილისის 51-ე საშუალო სკოლის ვერცხლის მედალზე დამთავრების შემდეგ, სწავლას აგრძელებთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ 1963 წელს მუშაობა დაიწყეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის მცენარეთა ბიოქიმიის ლაბორატორიაში ინჟინერ–ქიმიკოსად. 1965–1968 წლებში ასპირანტურის კურსი გაიარეთ მოსკოვში, ა.ნ. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტში, სადაც 1968 და 1984 წლებში დაიცავით საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. ბრძანდებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. სხვადასხვა

დროს მუშაობდით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიის ინსტიტუტის უმცროს და უფროს მეცნიერთანამშრომლად, კითხულობდით ლექციების კურსს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიისა და ქიმიის ფაკულტეტებზე, იყავით საქართველოს ზოოტექნიკურ–სავეტერინარო სასწავლო–კვლევითი ინსტიტუტის (შემდგომში - "აკადემია") არაორგანული და ბიოორგანული ქიმიისა და ბიოქიმიის კათედრის გამგე, დღემდე მუშაობთ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ქიმიის დეპარტამენტის სრული პროფესორისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობებზე, ტექნიკურ უნივერსიტეტში ბრძანდებით აკადემიური საბჭოს წევრი, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს წევრი და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, აგრარული ტექნოლოგიების დოქტურანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. სამეცნიერო – პედაგოგიური მუშაობის პერიოდში გამოქვეყნებული გაქვთ 113 სამეცნიერო შრომა, 7 სახელმძღვანელო, მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სახელმძღვანელო - "ბიოქიმიის საფუძვლები", რომელსაც 2015 წელს მიენიჭა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრემია საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომისათვის და "ბიოქიმიისა და მოლეკულური ბიოლოგიის ენციკლოპედიური ლექსიკონი".

თქვენი სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებებია: მცენარეების ფერმენტების სტრუქტურასა და ფუნქციას შორის ურთიერთკავშირის შესწავლა; ფერმენტების აქტივობისა და ბიოსინთეზის რეგულირება; ფერმენტების მოქმედების კინეტიკა; მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე ფიზიოლოგიურად აქტიური ნაერთების, ჰერბიციდების, მინერალური და ორგანული მარილების მოქმედება და დეტოქსიკაციის გზების შესწავლა; ღვინისა და ჩაის წარმოების ნარჩენებიდან საკვები ცილის მიღება და მისი გამოყენება სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვებაში; ჯანმრთელი და დაავადებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სისხლში სუნთქვის ფერმენტების ლაქტატ და მალატდეჰიდროგენაზების შესწავლა დაავადებებსა და აღნიშნულ ფერმენტთა აქტივობებს შორის ურთიერთკავშირის დადგენის და გავლენის შესწავლა მათი აღწარმოებითი უნარის ამაღლების მიზნით და სხვა.

თქვენი მეცნიერული კვლევის 4 ათეულზე მეტი შედეგები თავისი ილუსტრაციებით შეტანილია როგორც სამამულო, ისე მრავალ უცხოურ სახელმძღვანელოსა და მონოგრაფიაში. თქვენი ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი დისერტაცია და სადიპლომო ნაშრომი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიისა და ბიოლოგიის ფაკულტეტებზე.

თქვენ წარმატებით მონაწილეობდით მთელ რიგ საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, მსოფლიო ყრილობებსა და კონგრესებში. დაჯილდოებული ბრძანებით “ღირსების ორდენით”.

დღესაც ეწევით აქტიურ სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს სახელით კიდევ ერთხელ გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით,

აკადემიის
პრეზიდენტი აკად. გ. ალექსიძე

ქ. თბილისი,
25 აპრილი, 2016 წელი

მეორე კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 13 საკითხი. მათ შორის: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის 2015 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისა და 2016 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ; **მომხსენებელი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი დოქტორი გიგა ქვარცხავა;** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის 2015 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და 2016 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ; **მომხსენებელი: აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია;** აკადემიის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. **მომხსენებლები: აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე;** აკადემიის მუდმივმოქმედი გამოფენის საორგანიზაციო საკითხების შესახებ **მომხსენებლები: აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე; აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე; აგრარულ დარგში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, გამოყენებითი და საგანმანათლებლო ხასიათის ნაშრომისათვის პრემიის მინიჭების დებულების დამტკიცება. მომხსენებელი: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გ. ჯაფარიძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ადმინისტრაციული შენობის მარცხენა ფლიგელში გამარტივებული ელექტრონული ტენდერით სარემონტო–სამონტაჟო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ. მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ა. გიორგაძე**

განხილულ ცალკეულ საკითხებზე, რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს.

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორი: *სსმ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი-აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე*

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორის მოადგილე: *სსმ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ანატოლი გიორგაძე*

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" პასუხისმგებელი მდივანი: *სსმ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ტექნიკის დოქტორი გივი მოსაშვილი*

"აკადემიის მაცნე" - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" დამატება. "News of Academy "- addition of a scientific magazine "Moambe" of The Academy of Agricultural Sciences of Georgia.